# სასწავლო კურსის გეგმა

## სილაბუსი

## საბაკალავრო საფეხური

# კულტურული ანთროპოლოგია

**სალექციო კურსის კოდი:** H.1.L.24

**კრედიტების რაოდენობა:** 5 (ხუთი) ECTS კრედიტი. კურსის ხანგრძლივობაა 15 კვირა – 125 საათი. ა) საუდიტორიაო – 30სთ. (ლექცია–15, პრაქტიკული–15); ბ) დამოუკიდებელი – 95. კვირაში ჩატარდება 2 საუდიტორიო შეხვედრა.

**ლექტორი:** ფილოლოგიის დოქტორი, ნინო სოზაშვილი

საკონტაქტო ტელეფონი: +99 55 99 98 53 03

e-mail: ninosozashvili@gmail.com

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო-არჩევითი. კურსი ისწავლება საბაკალავრო დამატებით პროგრამაზე „კულტუროლოგია“ IV სემესტრში.

**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები:** არ გააჩნია

**ძირითადი თემები:**

თემა I- ანთროპოლოგიის ფორმები: რა არის ანთროპოლოგია? ანთროპოლოგიის მოკავშირე დიციპლინები,

თემა II- კულტურული მრავალფეროვნება: კულტურა; კულტურის ევოლუციური განვითარება; ეროვნება და რასა; ენა და კომუნიკაცია; საცხოვრებელი ადგილი; პოლიტიკური სისტემები; ოჯახი, ნათესაობა და მემკვიდრეობა; ქორწინება; გენდერი; რელიგია და კულტურა.

თემა III - მსოფლიო ცვლილებები: თანამედროვე მსოფლიო სისტემა; კოლონიალიზმი და განვითარება კულტურათა აღრევა და გადმონაშთები.

**სალექციო კურსის მიზანია:** კულტურული ანთროპოლოგიის სპეციფიკის საფუძვლიანი შესწავლა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს კულტურულ ანთროპოლოგიასთან დაკავშირებული პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი; გააჩნდეს ანალიზისა და სინთეზის უნარი; შემოქმედებითი ძიების უნარი; შეეძლოს განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები.

**სასწავლო კურსის ფორმატი:** დასახული მიზნების მიღწევისათვის გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება: ლექცია, სემინარი(პარაქტიკული სამუშაო),

პრეზენტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა. სემინარული მუშაობა გულისხმობს თითოეული სტუდენტის მიერ სასემინარო მასალის ინდივიდუალურად დამუშავებას, მის პრეზენტაციას და ასევე სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასემინარო თემის განხილვის პროცესში. იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ ისეთი საკითხების ათვისებას, რომელთა გავლა სათანადო სიღრმით ვერ ხერხდება სწავლების ლექციური ფორმის დროს.

**სასწავლო კურსის შედეგი:** კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი საფუძვლიანად უნდა ფლობდეს ისეთ სპეციფიკურ დისციპლინას, როგორისაა კულტურული ანთროპოლოგია.

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | დაუფლებულია კულტურული ანთროპოლოგიის სპეციფიკას; შესწავლილი აქვს კულტურული ანტროპოლოგიისა და მისი მონათესავე დისციპლინების ურთიერთობის ძირითადი კონცეფციები. | აქვს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა კულტურული ანთროპოლოგიის დარგში. დაუფლებულია კულტურულ ანთროპოლოგიასთან დაკავშირებული თემატიკის და პირველწყაროების მოპოვება-დამუშავების, ამოცანების დასმის და მათი გადაჭრის მეთოდებს. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | ახდენს კულტურულ ანთროპოლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების პრობლემების შეფასებას, ანალიზსა და დემონსტრირებას. | შეუძლია პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი; პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა, მათი გადაჭრის ახალი გზების შემუშავება. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია სამუშაო პროცესში გამოვლენილი პრობლემების ამოცნობა. | გააჩნია ანალიზისა და სინთეზის უნარი; შემქმედებითი ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები. |
| სწავლის უნარი | პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს განვითარებული აქვს სწავლის შეძენის უნარი და შეუძლია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო საფეხურზე; შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა. | ხელმძღვანელის უშუალო დახმარებით შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება. ასევე შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. |
| ღირებულებები | იცნობს კულტურული ანტროპოლოგიისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს. | იხილავს და აანალიზებს კულტურული ანთროპოლოგიის დარგში მომუშავე მეცნიერების მიერ დასმულ საკითხებს; ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიართა აზრს. |

## სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 70 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 30 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 25 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 15 ქულა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 25 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად

წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს. სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 70 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ გადაწყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

(F) 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით.

## აკადემიური პატიოსნება/პლაგიარიზმი:

წერითი თუ სხვა სახის აკადემიური სამუშაო, რომელსაც სტუდენტი ჩააბარებს უნდა იყოს შედეგი მისი საკუთარი აზროვნების, კვლევის თუ თვითგამოხატვის. თუ ვერ ერკვევით პლაგიატის საკითხში, გთხოვთ კონსულტაცია გაიაროთ ჩემთან ნამუშევრის ჩაბარებამდე.

ძირითადი ლიტერატურა:

1. **Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition)** by Conrad Phillip Kottak (Jan 2008)

2. **Cultural Anthropology 12th Edition (Book Only)** by Carol R. Ember (2007)

დამატებითი ლიტერატურა:

1. **Cultural Anthropology: The Human Challenge, 13th Edition** by William A. Haviland, Harald E. L. Prins, Bunny McBride and Dana Walrath(Mar 5, 2010

2. **Cultural Anthropology: Appreciating Cultural Diversity** by Conrad Phillip Kottak (Feb 4, 2010)

3. **Cultural Anthropology (6th Edition)** by Barbara D. Miller (Nov 22, 2010)

4. **Seeing Anthropology: Cultural Anthropology Through Film (with Ethnographic Film Clips DVD) (4th Edition)** by Karl G. Heider, Pamela A.R. Blakely and Thomas D. Blakely (Sep 2, 2006)

5. **Essentials of Cultural Anthropology** by Garrick Bailey and James Peoples (Feb 2, 2010)

6. **Cultural Anthropology: An Applied Perspective** by Gary Ferraro and Susan Andreatta (Jan 5, 2011)

## საჭიროების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს ქართულენოვან რიდერს

## კურსის თემატიკა კვირების მიხედვით

### თემა I - ანთროპოლოგიის ფორმები

*I კვირა: რა არის ანთროპოლოგია?*

ადამიანის ადაპტაცია (ადაპტაცია, ვარიაცია, ცვლილება); ზოგადი ანთროპოლოგია; კულტურის ძალა-ადამიანის ბიოლოგიის განმსაზღვრელი; ანთროპოლოგიის სუბდისციპლინები (კულტურული ანთროპოლოგია; არქეოლოგიური ანთროპოლოგია; ბიოლოგიური ან ფიზიკური ნთროპოლოგია; ლინგვისტური ანთროპოლოგია; კულტურული ანთროპოლოგია და სოციოლოგია; ანთროპოლოგია და ფსიქოლოგია).

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა:

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 3-22

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 3-8

*II კვირა: ანთროპოლოგიის მოკავშირე დიციპლინები*

რა არის გამოყენებითი ანთროპოლოგია? გამოყენებითი ანთროპოლოგიის როლი და მნიშვნელობა; თეოროული და გამოყენებითი ანთროპოლოგია; თეორია და პრაქტიკა;

ანთროპოლოგია და განათლება; სამოქალაქო ანთროპოლოგია; ანთროპოლოგია და ბიზნესი; დასქმება, კარიერა და ანთროპოლოგია.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 23-42

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 9-16

## თემა II - კულტურული მრავალფეროვნება

### *III კვირა: კულტურა*

რა არის კულტურა? კულტურის შესწავლა; კულტურის გაზიარება; კულტურის სიმბოლოზმი; კულტურა და ბუნება; ყოვლისმომცველი კულტურა; ინტეგრირებული კულტურა; დამთმობი და არაადეკვატური კულტურა; კულტურა და ინდივიდი; მოქმედება და პრაქტიკა; კულტურის დონეები: ეთნოცენტრიზმი, კულტურული რელატივიზმი, და ადამიანის უფლებები; უნივერსალურობა, განუსაზღვრელობა და განსაკუთრებულობა; კულტურული ცვალებადობის მექანიზმები; გლობალიზაცია.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 43-62

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 17-32

### *IV კვირა: კულტურის ევოლუციური განვითარება*

ევოლუცია; თეორია და ფაქტი; ჩვენი ადგილი პრიმატებს შორის; ადამიანები და მაიმუნები; რა გვაქვს საერთო სხვა პრიმატებთან? განათლება, ხელსაწყოები, მტაცებლობა და ნადირობა; რითი განვსხვავდებით სხვა პრიმატებისაგან? გაზიარება და კოოპერაცია; ქორწინება და ნათესაობა; კაცობრიობის დრომოჭმული შეხედულებების საფუძველი; ავსტრალოპითეკის ნაირსახეობა; გრაციოზული და ახოვანი ავსტრალოპითეკი; ავსტრალოპითეკი და პირველყოფილი ადამიანი; გამყინვარების ეპოქა; ნეანდერტალელი ადამიანი; ნეანდერტალელი და თანამედროვე ადამიანი; თანამედროვე ადამიანი და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები;

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 63-94

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 39-45

### *V კვირა: ეროვნება და რასა*

ეროვნება და ეთნიკური ჯგუფები; მოძრავი სტატუსი; რასა; რასის სოციალური კონსტრუქცია; რასობრივი აღწერა (აშშ, იაპონია); განლაგება და „გონებრივი შესაძლებლობები"; ეთნიკური ჯგუფები, ერები და ნაციონალიზმი; მშვიდობიანი თანაარსებობა, ასიმილაცია, მრვალრიცხოვანი საზოგადოება, მულტიკულტურიზმი და ეთნიკური იდენტობა; ეთნიკური კონფლიქტის ფესვები, ცრურწმენა და დისკრიმინაცია, ჩაგვრისა და შევიწროების შედეგები.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 95-122

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 125-140

### *VI კვირა: ენა და კომუნიკაცია*

ენის რაობა; არდამიანური პრიმატების კომუნიკაცია; არავერბალური კომუნიკაციები; ენობრივი სტრუქტურა; ენა, მეტყველება და კულტურა; სოციოლინგვისტიკა; ისტორიული ლინგვისტიკა.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 123-150

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 63-83

### *VII კვირა: საცხოვრებელი ადგილი*

ადაპტაციის სტრატეგია; საკვების მოპოვება; მეურნეობის განვითარება; ადამიანები და გარემო; პასტორალიზმი; პროდუქციის ზომიერება; არაინდუსტრიული სოციუმის პროდუქცია; პროდუქციის წარმოების აზრი და მნიშვნელობა; განსხვავება ინდუსტრიულ ეკონომიკაში; მომჭირნეობა და მაქსიმიზაცია; „დასასრულის" ალტერნატივა; დისტრიბუცია და გაცვლა-გამოცვლა; ხელახალი გადანაწილება; თანაზიარობა; გაცვლითი პრინციპების თანაარსებობა;

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 151-176

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 85-100

### *VIII კვირა: პოლიტიკური სისტემები*

რა არის „პოლიტიკური“ სისტემა?; პოლიტიკური სისტემების ტიპები და მიმართულებები; ტომობრივი კულტივატორები; სოფლის უპირატესობა; „დიდი ადამიანი“; მომთაბარე პოლიტიკა; ტომობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები; სოციალური სტატუსი; სტრატიფიკაციის აუცილებლობა; პოლიტიკური მდგომარეობა; სოციალური კონტროლი.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 177-204

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 221-241

### *IX კვირა: ოჯახი, ნათესაობა და მემკვიდრეობა*

ინდუსტრიალიზმი და ოჯახის ორგანიზება; ცვლილებები სამხრეთ ამერიკულ ოჯახებში; ოჯახი ფურაჟირთა შორის; გავრცელებული ოჯახური ჯგუფები; ჩამომავლობა, კლანი და „ცხოვრების წესი“; ოჯახური წინააღმდეგობის წარმოშობა; გენეალოგიური ჩამომავლობის ტიპები და სანათესაო ვედები; ნათესაური ტერმინოლოგია.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 205-226

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 183-203

### *X კვირა: ქორწინება*

რა არის ქორწინება? სისხლის აღრევა და ეგზოგამია; ტაბუს ახსნა; ინსტიქტური შიში; ბიოლოგიური დეგენერაცია; ხელყოფა და უგულებელყოფა; განქორწინება; ენდოგამია; პრივილეგირებული კლასი; სამეფო ენდოგამია; საქორწინო უფლებები და ერთსქესობრივი ქორწინება; ქორწინება-როგორც ჯგუფური ალიანსი; გაყრა; მრავალჯერადი ქორწინება; მრავალცოლიანობა და მრავალქმრიანობა.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 227-250

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 161-180

## *XI კვირა: გენდერი*

სქესი და გენდერი; რეციდიული გენდერული მოდელი; გენდერი ფურაჟირთა შორის; გენდერი მებაღეობაში; გენდერი სოფლისმეურნეობაში; პატრიარქატი და ძალმომრეობა; გენდერი და ინდუსტიალიზმი; ფემინიზაცია; სექსუალური ორიენტაცია;

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 251-278

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 143-158

## *XII კვირა: რელიგია და კულტურა*

რელიგიის რაობა; რელიგიათა წყაროები, ფუნქციები და ექსპრესიულობა; ანიმიზმი, ტაბუ; მაგია და რელიგია;  სიყვარული, მართვა ნუგეშისცემა; რიტუალი; „გასვლის“ წესები; ტოტემიზმი; რელიგიური და კულტურული ეკოლოგია; სოციალური მართვა; რელიგიის ნაირსახეობანი; მსოფლიო რელიგიები; რელიგია და ცვლილება; საერო რიტუალები. ხელოვნების არსი;  ხელოვნება და რელიგია; მოწინავე ხელოვნება;  ხელოვნება და ინდივიდუალურობა; ხელოვნების სამსახური; ხელოვნება, სოციუმი და კულტურა; ეთნომუსიკოლოგია; ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლები; ხელოვნება და კომუნიკაცია; ხელოვნება და პოლიტიკა; არტისტული კარიერა; ხელოვნების ცვალებადობა.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 279-324

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 263-292

## თემა III - <u>მსოფლიო ცვლილებები</u>

### *XIII კვირა: თანამედროვე მსოფლიო სისტემა*

ინდუსტრიალიზმი; ინდუსტრიული რევოლუციის გამომწვევი პირობები; სტრატიფიკაცია; ინდუსტრიული სტრატიფიკაცია; ქალი აზიის ქვეყნებში; ღია და დახურული კლასობრივი სისტემები; თანამედროვე მსოფლიო სისტემა დღეს; ინდუსტრიული დეგრადაცია.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 325-344

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 347-360

### *XIV კვირა: კოლონიალიზმი და განვითარება. კულტურათა აღრევა და გადმონაშთები*

კოლონიალიზმი; იმპერიალიზმი; ბრიტანული კოლონიალიზმი; ფრანგული კოლონიალიზმი; კოლონიალიზმი და იდენტობა; პოსტკოლონიური სწავლება; განვითარება; ნეოლიბერალიზმი; კომუნიზმი, პოსტსოციალისტური ცვლილებები; ანთროპოლოგიის განვითარება, იავას აღორძინება, სამართლიანობა; სტრატეგია ინოვაციისათვის; კულტურის ასიმილაცია; კავშირები და ხელისუფლება; განვითარება და გარემოს დაცვა; რელიგიური ცვლილებები; კულტურათა შექმნა და გარდაქმნა; ადგილობრივი მოსახლეობის იდენტობა; ადგილობრივი მოსახლეობა და ეთნოგრაფია; მრავალფეროვნების ხანგრძლივობა.

**ლექცია – 2, სემინარი – 1.**

**ლიტერატურა:**

Cultural Anthropology with CD/ROM (12th Edition) by Conrad Phillip Kottak (Jan 2008). Page 325-386

Cultural Anthropology 12th Edition (Book Only) by Carol R. Ember (2007). Page 295-329

### *XV კვირა: შემაჯამებელი ლექცია.*

სტუდენტებს პერიოდულად მიეთითებათ უახლესი კვლევები სამეცნიერო ჟურნალებიდან, როგორც დამატებითი ლიტერატურა.

**წარმატებას გისურვებთ!**